განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ქეთევან ბაცანკალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

წევრი:

მედეა მაქაცარია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	244556583

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი შავღალე
ფაქტობრივი მისამართი	ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი შავღელე
საფოსტო ინდექსი	5800
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/1708?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	shavgele@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	511282332

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 3 ნოემბრის N MES 0 25 0001508013 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	27 და 28 ნოემბერი, 2025

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

შეფასების პროცესი წარიმართა საქმიან გარემოში. დაწესებულებამ ექსპერტების მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციის დიდი ნაწილი მიაწოდა ექსპერტებს. განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული გასაუბრებები სასკოლო საზოგადოების წევრებთან.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
200	92

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა მდებარეობს სოფელში, რომელიც დაარსდა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში. სოფელი შავღელე დასახლდა აჭარის ეკომიგრანტებით, რომლებსაც მოუწიათ ხულოს, შუახევისა და ქედის სოფლების მიტოვება, მას შემდგომ რაც მეწყერმა დიდი ზარალი მიაყენა მათ საცხოვრებელ ტერიტორიას. თემი საკმაოდ იზოლირებულია სხვა დასახლებული პუნქტებისგან. სოფელში ხარვეზებით მუშაობს მობილური და ინტერნეტ კომუნიკაცია. პრობლემას წარმოადგენს გადაადგილება საკუთარი ტრანსპორტის გარეშე, ვინაიდან საჯარო ტრანსპორტი მხოლოდ შეზღუდული მარშრუტით და ინტერვალებით არის დანიშნული.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული მიზეზების გამო, სკოლა ხშირად ერთადერთი სივრცეა, სადაც არამარტო სასკოლო საზოგადოებას არამედ ადგილობრივ თემის წარმომადგენლებს ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალება ეძლევათ. მოქმედი დირექცია ორიენტირებულია მოსწავლეებს შესთავაზოს ხარისხიანი აკადემიური განათლება და არაფორმალური აქტივობები. სკოლა დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს მხარს უჭერს დამატებითი კონსულტაციებისა და გაკვეთილების საშუალებით. მოსწავლეები წახალისებულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ კლასგარეშე წრეებსა და კლუბებში, სკოლებს შორის რაიონულ პროექტებსა და კონკურსებში. ამ მიზნით, მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხშირად ხორციელდება დირექტორის მოხალისეობრივ საწყისებზე ან მშობლების დახმარებით.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და თანდართული დოკუმენტაცია. ექსპერტთა გუნდი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ პოზიციას. კერძოდ:

სტანდარტი N3	*შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობები*	*სტანდარტთან შესაბამისობა*
N. 3.1.2.3	*დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების მოპოვების თარიღი (15.01.2026).*	*მეტწილი*

N. 3.4.1.1	*დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების თარიღი (15.09.2026).*	*მეტწილი*
N. 3.4.1.1	*დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების თარიღი (15.09.2026).*	*მეტწილი*
N. 3.4.1.1	*დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების თარიღი (15.09.2026).*	*მეტწილი*
N. 3.4.1.1	*დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის გამართვის თარიღი (15.04.2026).*	*მეტწილი*
N. 3.5.1.4	*დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შენობაში დამონტაჟებული ლიფტის შეკეთებისა და ამოქმედების თარიღი (15.01.2026).*	*მეტწილი*
N. 3.6.2.1	*დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია საქმისწარმოების წესის შემუშავების თარიღი (15.01.2026).*	*მეტწილი*

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოების დროს)

მოსწავლეთა რაოდენობა:	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
N. 3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	***დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოსთხოვოს პერსონალს "უფლების ჩამორთმევის შესახებ" ცნობების წარმოდგენა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული თარიღის მიხედვით (15.01.2026).***

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

N. 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)*	*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული თარიღის მიხედვით (15.09.2026).*
N. 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან*	*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანოსთან, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული თარიღის მიხედვით (15.09.2026).*

	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
N. 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ*	*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოიპოვოს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული თარიღის მიხედვით (15.09.2026).*

	გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
N. 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი*	***დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გამართოს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული თარიღის მიხედვით (15.04.2026).***

	მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)	
N. 3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გასწიოს სამუშაოები შენობაში დამონტაჟებული ლიფტის ასამოქმედებლად, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული თარიღის მიხედვით (15.01.2026).*
N. 3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს საქმისწარმოების წესი, რომელიც თანხვედრაში იქნება სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემასთან, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული თარიღის მიხედვით (15.01.2026).*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
N 1.1.1.1	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს*	***<u>რჩევა:</u> ვინაიდან დაწესებულება თავადაც მიიჩნევს, რომ ამ ეტაპისთვის მისია და ხედვა ზოგადია, სკოლას მიეცა რჩევა, მომდევნო სასწავლო წლისათვის მისია და ხედვა უფრო მეტად მოარგოს სასკოლო პრიორიტეტებს, მეტად გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოებისა და ადგილობრივი თემის პრიორიტეტები, გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკა და სხვა გარემოებები.*** ***<u>რჩევა:</u> ვინაიდან სკოლამ რამდენჯერმე მოახდინა სკოლის ფილოსოფიის რევიზია, მიზანშეწონილია გაასწოროს სხვადასხვა დოკუმენტში ჩარჩენილი ტექნიკური უზუსტობები.***
N 1.1.1.3	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით*	***<u>დაწესებულებას მიეცა რჩევა.</u> უკეთ მოხდეს ჩართულობის ფორმების დოკუმენტირება. ასევე მნიშვნელოვანია, მომავალში, სკოლის ფილოსოფიის რევიზიაში ჩართული იყოს სასკოლო საზოგადოების რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი. ამისთვის მიზანშეწონილია კითხვარების, ფოკუს ჯგუფებისა და ინფორმაციის შეგროვების სხვა მეთოდების გამოყენება.***
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N...		

N 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	<u>რჩევა:</u> სასურველია სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს ორგანიზაციული სტრუქტურით და სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია - მოვალეობებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობის პირების დასახელებები.
N 3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	<u>რჩევა:</u> სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც უფრო დეტალურად განისაზღვრება პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის გათვალისწინებული იქნება ამა თუ იმ პოზიციაზე დასაქმებული პირის არ ყოფნის, ან არ არსებობის შემთხვევაში რომელ პოზიციას შეიძლება დაეკისროს მისი ფუნქციები, რაც ავტომატურად თანამდებობრივ ინსტრუქციებშიც გააჩენს შესაბამის ჩანაწერს.
N 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	<u>რჩევა:</u> სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რითაც უფრო დეტალურად იქნება გათვალისწინებული პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები.
N 3.1.2.4	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	<u>რჩევა:</u> სასურველია, სკოლამ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და

		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების თანახმად (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი), დაასაქმოს ექიმის პოზიციაზე ამავე ბრძანებით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კადრი, ხოლო ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით და ექთნის პოზიციაზე დასაქმდეს ბრძანებით განსაზღვრული ექთნის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კადრი.
N 3.2.1.1	*სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები*	*<u>რჩევა:</u> სასურველია სკოლამ შექმნას პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის ერთიანი დოკუმენტი, სადაც მეტად მკაფიოდ და უფრო დეტალურად განისაზღვრება მექანიზმები.*
N 3.2.1.3	*სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას*	<u>*რჩევა:*</u> სასურველია, სკოლამ საგანმანათლებლო, პროფესიულ ან/და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან გააფორმოს მემორანდუმ(ებ)ი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნება, სკოლის პერსონალის კარიერული ზრდის მიზნით, სხვადასხვა ტრეინინგების, კურსების, გადამზადების და აშ. გავლის საკითხები.
N 3.3.2.1	*სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები*	*<u>რჩევა:</u> სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რითაც განისაზღვრება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის, ინფორმაციის შეგროვებასთან, სასკოლო საზოგადოების საჭიროებების კვლევასთან და რეაგირებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, მათგან უკუკავშირის მიღებასა და მასზე რეაგირების მექანიზმების დახვეწას.*

N 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)*	*<u>რჩევა:</u> სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.*
N 3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*<u>რჩევა:</u> დაწესებულებას მიეცა რჩევა, ექიმის კაბინეტი სრულად დააკომპლექტოს წესის შესაბამისად განსაზღვრული ინვენტარით.*

N 3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*<u>რჩევა:</u> დაწესებულებას მიეცა რჩევა, განაახლოს აზომვითი ნახაზი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.*
N 3.6.1.2	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად*	*<u>რჩევა:</u> სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ინფორმაციულ ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი, რომელშიც უფრო დეტალურა იქნება განხილული ინფორმაციულ-ტექნიკური რესურსებ გამოყენება.*
N 3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი*	*<u>რჩევა:</u> სასურველია გასწორდეს სკოლის მიერ წარმოებულ ზოგიერთ დოკუმენტაციაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ დაკორექტირდეს სხვა სკოლის სახელწოდება, სკოლის რეალური სახელწოდებით.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
N 4.2.1.6	*მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას*	*<u>რჩევა:</u> სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების, კმაყოფილები კვლევის შესახებ, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს სასკოლო საზოგადოების/დაინტერესებულ პირთა საჭიროებების დადგენას, მათი კმაყოფილების ანალიზს და გააუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.*

N 4.2.2.1	*კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის*	*<u>რჩევა:</u> სასურველია სკოლამ, საგანმანათლებლო, ადმინისტრაციულ დაწესებულებებთან გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმ(ებ)ი/ხელშეკრულებ(ებ)ა, რათა უფრო მეტად ხელმისაწვდომი და მრავალმხრივი გახდეს მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*სტატუსი*
ინდიკატორი 1.1.1.3	*ინდიკატორი 1.1.1.3 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;*	*სკოლა უზრუნველყოფს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებას სასკოლ საზოგადოების ჩართულობით შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადაში, კერძოდ - 7/09/2023-დან - 20/12/2023 პერიოდში.*	*შესრულებულია*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესი ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	
ინდიკატორი N3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*სკოლა მოახდენს კანონმდებლობით დადგენილი ცნობების, (უფლების ჩამორთმევის, ნასამართლეობის, სქესობრივ თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ) წარმოდგენის*	***არ არის შესრულებული.*** *თანამშრომლებს არ აქვთ წარმოდგენილი ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.*

		უზრუნველყოფას 5/09/2023-დან 30/10/2023-მდე პერიოდში.	
ინდიკატორი 3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლა უზრუნველყოფს:* *ა) დაუცველი გარემოს გამოსწორების უზრუნველყოფას (სველი წერტილების ნაწილი მოწყობილია ფართო ფანჯრებთან ახლოს და ქმნის დაუცველ გარემოს)* *ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან.* *გ) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებას 9/09/2023-დან 19/11/2023-მდე პერიოდში.*	*შესრულებულია:* *ა) დაუცველი გარემოს გამოსწორების უზრუნველყოფას (სველ წერტილების ნაწილი მოწყობილია ფართო ფანჯრებთან ახლოს და ქმნის დაუცველ გარემოს* ***არ არის შესრულებული:*** *ბ) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება უფლებამოსილ ორგანოსთან.* *გ) შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოები* *მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება*
ინდიკატორი 3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის*	*სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა, საქმისწარმოების წესში გაწერის*	***არ არის შესრულებული:*** *დაწესებულება არ აწარმოებს*

	შესაბამისი საქმისწარმოების წესი.	*მიუხედავად არ აწარმოებს მატერიალურ ჟურნალს შემოსული-გასული დოკუმენტების, ბრძანებების და ხელშეკრულებების რეგისტრაციისათვის. სკოლა აღნიშნულის გამოსწორებას უზრუნველყოფს5/09/2023-დან 6/11/2023-მდე პერიოდში.*	*ხელშეკრულებების რეგისტრაციას.*
ინდიკატორი 3.6.3.1	*სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით.*	*სკოლა უზრუნველყოფს ვებგვერდის საშუალებით საზოგადოების ინფორმირებულობას 5/09/2023-დან 20/12/2023-მდე პერიოდში*	*შესრულებულია*
ინდიკატორი 3.6.3.4	*სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე,*	*სკოლა უზრუნველყოფს ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას 5/09/2023-დან 20/12/2023-მდე პერიოდში*	*შესრულებულია*

	რომელზეც ახორციელებს სწავლებას;		
ინდიკატორი 3.6.3.5	*ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების*	*სკოლა უზრუნველყოფს ვებ გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის ასახვას. 5/09/2023-დან 20/12/2023-მდე. პერიოდში*	*შესრულებულია*

	შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.		
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***	***სტატუსი***
ინდიკატორი 4.1.1.3	*მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.*	*კოლა უზრუნველყოფს მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულებების გაფორმებას 15/09/2023-დან 6/11/2023-მდე პერიოდში .*	*შესრულებულია*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის მისია და ხედვა თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

დაწესებულების მისიაა:

ჩვენი სკოლის მისიაა უსაფრთხო, პოზიტიური, სწავლის მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, სადაც ყველა ბავშვი ლაღი, მოაზროვნე, მაძიებელი, თავდაჯერებული, მიღებული და დაფასებულია, სადაც სწავლა სასიამოვნო და საინტერესო თავგადასავლებით სავსე პროცესია წარმატების მისაღწევად. ინტელექტუალური თუ მატერიალური ღირებულებების შესაქმნელად მოზარდებს ჩამოვუყალიბებთ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს, დავეხმარებით ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის, უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.

დაწესებულების ხედვაა:

სკოლის ხედვაა სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის განაწილების გზით ხელი შეუწყოს თითოეული მოზარდის წარმატებას. აღჭურვოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და სოციალურად სწორი ორიენტაციით.

<u>რჩევა:</u> *ვინაიდან დაწესებულება თავადაც მიიჩნევს, რომ ამ ეტაპისთვის მისია და ხედვა ოდნავ ზოგადია, სკოლას მიეცა რჩევა, მომდევნო სასწავლო წლისათვის მისია და ხედვა უფრო მეტად მოარგოს სასკოლო პრიორიტეტებს, მეტად გაითვალისწინოს სასკოლო*

საზოგადოებისა და ადგილობრივი თემის პრიორიტეტები, გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკა და სხვა გარემოებები.

<u>რჩევა:</u> *ვინაიდან სკოლამ რამდენჯერმე მოახდინა სკოლის ფილოსოფიის რევიზია, მიზანშეწონილია გაასწოროს სხვადასხვა დოკუმენტში ჩარჩენილი ტექნიკური უზუსტობები.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

დაწესებულება მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს როგორც უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე მორგებულ სოციო-კულტურულ სივრცეს, რაც დეკლარირებულია სკოლის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, საგნობრივი კურიკულუმების ჭრილსა და არაფორმალური განათლების აქტივობებში. ზოგადად, არაფორმალური განათლებას სკოლისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს და სკოლის დირექცია აცნობიერებს, რომ სოფლისათვის სკოლა ერთადერთი ინსტიტუციაა, სადაც ადგილობრივ მოსწავლეებს თავისი აკადემიური და კლასგარეშე შესაძლებლობების განვითარება ხელეწიფებათ.

სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნისა და დაცვის მექანიზმები, რაც აისახება სხვადასხვა წესსა და დებულებაში, სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიან სამოქმედო გეგმებში.

სკოლაში ხორციელდება გასვლითი გაკვეთილები და ექსკურსიები, საქველმოქმედო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, შიდა სასკოლო გამოფენები, საინფორმაციო და ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები, სპორტული გასართობი და შემეცნებითი აქტივობები. სკოლაში ერთი წელია, რაც აქტიურად ფუნქციონირებს ქართული ცეკვის წრე; იგეგმება სხვა დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოსწავლეთა და ადგილობრივი თემის ინტერესების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ სკოლა მდებარეობს თემში, რომელიც საკმაოდ იზოლირებულია სხვა დასახლებული პუნქტებისგან. სოფელში ხარვეზებით მუშაობს მობილური და ინტერნეტ კომუნიკაცია. პრობლემას წარმოადგენს გადაადგილება საკუთარი ტრანსპორტის გარეშე, ვინაიდან საჯარო ტრანსპორტი მხოლოდ შეზღუდული მარშრუტით და ინტერვალებით არის დანიშნული. ხშირად, სკოლებს შორის

რაიონულ კონკურსებში მონაწილეობის მიზნით, მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება დირექტორის მოხალისეობრივ საწყისებზე ან მშობლების დახმარებით.

აღსანიშნავია, რომ სკოლა ხშირად ერთადერთი სივრცეა, სადაც არამარტო სასკოლო საზოგადოებას არამედ ადგილობრივ თემის წარმომადგენლებს ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალება ეძლევათ. სკოლის წარმომადგენლები ხშირად ეხმარებიან სოფლის მცხოვრებლებს სხვადასხვა ტიპის განცხადების ფორმის შევსებასა და ბეჭდვაში, უზრუნველყოფენ მათ ხელმისაწვდომობას კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან და ინტერნეტთან. ვინაიდან, პედაგოგები და თანამშრომლები სხვადასხვა რაიონიდან დადიან სკოლაში, ისინიც წარმოადგენენ საკომუნიკაციო ხიდს რაიონულ ცენტრებთან, სხვადასხვა სფეროს და პროფესიის წარმომადგენლებთან და ხშირად ეხმარებიან ადგილობრივ მცხოვრებლებს საჭიროების მოგვარებაში - იქნება ეს სამედიცინო თუ სხვა სახის დახმარება. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. <u>მონიტორინგის ვიზიტის დროს,</u> აღნიშნული დადგინდა პერსონალთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით.

თუმცა, <u>დაწესებულებას მიეცა რჩევა</u>, უკეთ მოხდეს ჩართულობის ფორმების დოკუმენტირება; ასევე მნიშვნელოვანია, მომავალში, სკოლის ფილოსოფიის რევიზიაში, ჩართული იყოს სასკოლო საზოგადოების რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი. ამისთვის მიზანშეწონილია კითხვარების, ფოკუს ჯგუფებისა და ინფორმაციის შეგროვების სხვა მეთოდების გამოყენება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლას დამტკიცებულია აქვს სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების ეტაპები. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილი ეტაპების დაცვით სკოლის მიერ უკვე განხორციელებული ღონისძიებები ცხადყოფს, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. გაზიარების ეტაპი გაგრძელდა შემუშავებული მისიის, ხედვისა

და ღირებულებების პროექტების სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარებით, როგორიცაა სკოლის ფარგლებში პირისპირ შეხვედრები გაზიარება უკუკავშირის მიღების მიზნით, ასევე პედაგოგიურ საბჭოზე განხილვა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგია მოიცავს გაზიარებისა და ხელმისაწვდომობის მექანიზმებს. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის და შემუშავებული გეგმის განხორციელების პროცესში ახდენს ინფორმაციის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების წევრებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. სკოლის მიერ უკვე შემუშავებული და დამტკიცებული მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის, რადგან იგი განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე/სტენდზე და სკოლის ვებ-გვერდზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. კერძოს, სკოლის დასახელება და სტატუსი განსაზღვრულია კანონმდებლობით - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, რომლის თანახმადაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), სახელწოდება - სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის ვებ გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებსა და პროცესში ჩართულ მხარეებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის მექანიზმებს და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა 2024-2031 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა. რომელშიც გაწერილია 7 წლის განმავლობაში მისაღწევი მიზნები. სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს შესავალ ნაწილს, SWOT ანალიზს, სკოლის ფილოსოფიას და სტრატეგიულ ჩარჩოს.

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის, სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს 2024-2031 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

სტრატეგიული მიზანი N1: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება;

სტრატეგიული მიზანი N2: ადამიანური რესურსის განვითარება;

სტრატეგიული მიზანი N3: მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი N4: უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს ორგანიზება;

სტრატეგიული მიზანი N5: სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;

სტრატეგიული მიზანი N6: მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება;

სტრატეგიული მიზანი N7: ორგანიზაციული განვითარება.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება 2024-2031 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმას და ორიენტირებულია მასში გამოკვეთილი მიზნების შესრულებაზე. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

დაწესებულების სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. სამოქმედო გეგმაში, მიზნებისა და ამოცანების მიხედვით გაწერილია აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულები, შესრულების ვადები, შესრულების ინდიკატორები და რესურსები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა;

- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგს. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

მონიტორინგისთვის სკოლაში აქტიურად გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ხოლო ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე), სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების/ამოცანის/აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით და საბოლოოდ, კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

<u>**მონიტორინგის ვიზიტის დროს,**</u> დაწესებულებამ წარმოადგინა სხვადასხვა პასუხისმგებელი პირების მიერ შემუშავებული ანგარიშები. წლის ბოლოს დაწესებულების მუშაობის ანალიზი და შეფასება დაეყრდნო კათედრის ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის და დირექტორის ანგარიშებს. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას დაწესებულება უზრუნველყოფს სოციალური ქსელის, ვებ-გვერდისა და საინფორმაციო დაფის საშუალებით. აღნიშნულ ინტერნეტ პლატფორმებზე წარმოდგენილია განხორციელებული აქტივობის ამსახველი ინფორმაცია და ფოტო-მასალა.

<u>მონიტორინგის ვიზიტის დროს,</u> სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი ეცნობიან სკოლის გვერდს სოციალურ ქსელში; დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის წარმომადგენლებისგან იღებენ ინფორმაციას დაწესებულების მიერ განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის <u>მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში</u>** დადგინდა, რომ წლის განმავლობაში შეგროვებული და დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე ხორციელდება პრობლემების იდენტიფიცირება, სიტუაციური ანალიზი, ისახება გადაჭრის გზები და შესაბამისი აქტივობები. მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს, გათვალისწინებულია წინა წლის პრაქტიკა და შენიშვნები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის თანახმად განსაზღვრულია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები/თანამდებობის პირები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილში და.შ. ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია - მოვალეობები, სადაც დეტალურად არის განსაზღვრული თითოეული პოზიციის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლას ასევე დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი, სადაც გამოყოფილია შესაბამისი რაოდენობის საშტატო ერთეული.

<u>რჩევა:</u> *სასურველია სკოლამ შესაბამისობაში მოიყვანოს ორგანიზაციული სტრუქტურით და სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია - მოვალეობებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობის პირების დასახელებები.*

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია - მოვალეობები, სადაც დეტალურად არის განსაზღვრული თითოეული პოზიციის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა;
2. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია - მოვალეობები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სასკოლო საზოგადოების მიერ განხილული და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლას ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესება. ასევე, სკოლას შემუშავებული აქვს "სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები", რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმების მსურველი პერსონალისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მათი ფუნქციები, აღნიშნული ფუნქციების თანახმად, თითოეული თანამდებობის პირი/სტრუქტურული ერთეული ჩართულია სასკოლო საქმიანობაში, რაც ხელს შეუწყობს სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ეფექტიან და დროულ შესრულებას. შინაგანაწესის მიზანია:

ა) სკოლის საქმიანობაში ხელშეწყობა, სკოლის მისიის შესრულება, უსაფრთხო გარემოს შექმნა და ჩამოყალიბება;

ბ) სკოლაში დასაქმებულ პირთა შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება და კონტროლი;
გ) სკოლაში დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა;
დ) სასწავლო - სამუშაო დროის რეგულირება და რაციონალური გამოყენება;
ე) სკოლაში სასწავლო პროცესების ნორმალურად წარმართვისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის მოსწავლეთა ქცევის წესების მოწესრიგება და კონტროლი.

სკოლის შინაგანაწესი ასევე ითვალისწინებს თანამშრომლის/პედაგოგის მიღების საკითხებს, სკოლაში დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, სკოლის თანამშრომელთა ძირითად უფლება - მოვალეობებს, წახალისებისა და დასაქმებულის მიმართ დისციპლინური წარმოების წესს. სკოლას შემუშავებული აქვს ახალი პერსონალის ადაპტაციის წესი, რომელიც მოიცავს სკოლაში ახლად მიღებული პირის ადაპტაციის ეტაპებს და გასატარებელ ღონისძიებებს. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა

სკოლამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ განხილული და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად, სკოლას ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესება. აღნიშნული ამოცანა მოიცავს შემდეგ აქტივობებს: პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვა; პერსონალის მართვისას გუნდური და მონაწილეობითი პრინციპების დანერგვა; თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვა; თანამშრომელთა წახალისების სისტემის გაუმჯობესება / დახვეწა; ადამიანური რესურსების მუდმივი განვითარება. სკოლას შემუშავებული აქვს ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურის დოკუმენტი, რომლითაც გათვალისწინებულია პრევენციული ღონისძიებები ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. სკოლას აქვს "სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები", რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმების მსურველი პერსონალისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მათი ფუნქციები. სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ საჭიროების შემთხვევაში ხდება პედაგოგიური, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური პერსონალის დროებით ჩანაცვლება სასწავლო პროცესის შეუფერხებლად

წარმართვისათვის. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა.

<u>რჩევა:</u> *სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც უფრო დეტალურად განისაზღვრება პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის გათვალისწინებული იქნება ამა თუ იმ პოზიციაზე დასაქმებული პირის არ ყოფნის, ან არ არსებობის შემთხვევაში რომელ პოზიციას შეიძლება დაეკისროს მისი ფუნქციები, რაც ავტომატურად თანამდებობრივ ინსტრუქციებში გააჩენს შესაბამის ჩანაწერს.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად განსაზღვრულია წინასახელშეკრულებო ურთიერთობათა საკითხები, სკოლაში თანამშრომლის/პედაგოგის მიღება, მიღების საკითხებში აღწერილია განცხადების გავრცელების ვაკანტური ადგილების შესახებ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, მოქალაქის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და მასთან გასაუბრების პროცედურა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხები. ამავე დოკუმენტით გათვალისწინებულია პერსონალის სამსახურში მიღებისას ადმინისტრაციის მიერ შესასრულებელი ვალდებულებები. სკოლამ ასევე წარმოადგინა დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია მასწავლებლის მიღებისას გასათვალისწინებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. წარმოდგენილი სხვადასხვა დოკუმენტებით გათვალისწინებულია პერსონალის შერჩევის პოლიტიკის და პროცედურის ამსახველი საკითხები, თუმცა <u>**რჩევის სახით,**</u> სასურველია შემუშავდეს ერთიანი დოკუმენტი, რომლითაც ერთიანად განისაზღვრება კადრის შერჩევის პროცედურები, კონკურსის გამოცხადება, საკონკურსო კომისიის შექმნა/ფორმირება, საინფორმაციო საშუალებებით საჯაროდ გამოქვეყნება, კონკურსის ეტაპები, პერსონალის მიერ საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების პროცედურა, გადაწყვეტილების მიღება, ოქმი/შერჩევის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის წარმოება, გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები და ა.შ.

სკოლის პერსონალის პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ ითხოვს პერსონალისგან პერსონალის მიღების/კონკურსის ეტაპზე დოკუმენტაციის, კერძოდ "უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების" წარმოდგენას. <u>**პერსონალის პირადი საქმე არ მოიცავს უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობებს.**</u>

ხარვეზი: პერსონალის მიღების/შერჩევის ეტაპზე, სკოლას არ აქვს განსაზღვრული მოთხოვნა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მოთხოვნილი "უფლების ჩამორთმევის შესახებ" ცნობების წარდგენასთან დაკავშირებით; შესაბამისად, 2020 წლის შემდგომ დასაქმებული თანამშრომლების პირად საქმეში არ ფიქსირდება აღნიშნული ცნობები.

რჩევა: *სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რითაც უფრო დეტალურად იქნება გათვალისწინებული პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები.*

<u>***შენიშვნა: არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების მოპოვების თარიღი (15.01.2026).***</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლამ წარმოადგინა "სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები", რომლითაც განსაზღვრულია სკოლაში დასაქმების მსურველი პერსონალისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის თანახმად, კერძოდ ამონაწერით პერსონალის შესახებ ბაზიდან დგინდება, რომ სკოლას დასაქმებული ჰყავს შესაბამისი სტატუსის მქონე პედაგოგიური პერსონალი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა, სსიპ -ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში ექიმის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ვადების შესახებ, სკოლის დირექტორის 2025 წლის 27 ოქტომბრის #54 ბრძანება.

სკოლის განმარტებით, რადგან რაიონში ექიმის კვალიფიკაციის მქონე პირი წარმოადგენს დეფიციტს მათ მიერ არაერთხელ იქნა გამოცხადებული კონკურსი, რომლის შესახებ ინფორმაცია კანონმდებლობის შესაბამისად გამოქვეყნებულ იქნა მასობრივი საშუალებებით. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლის მიერ არაერთხელ იქნა გამოცხადებული კონკურსი და ვერ შეირჩა ექიმის კვალიფიკაციის მქონე კადრი სკოლამ მიმართა სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ექთნის პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ. 2025 წლის 10 ოქტომბრის MES 8 25 0001328859 წერილით საგანმანათლებლო რესურსცენტრმა გააგზავნა მიმართვა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში კონკურსის ორჯერ ჩაშლის გამო ექთნის კონკურსის გამოცხადებაზე თანხმობის მისაღებად. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 15 ოქტომბერის წერილის (MES 2 250001350461) თანახმად, სამინისტრომ **გასცა თანხმობა ექიმის პოზიციაზე ექთნის კვალიფიკაციის მქონე კადრის დასაქმების** შესახებ. ***ამონარიდი წერილიდან:*** "აქვე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში შესაბამისი კომპეტენციის კანდიდატი არ დაფიქსირდა (ექიმის კადრი რეგიონში/რაიონში დეფიციტს წარმოადგენს), საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სკოლამ განმეორებითი კონკურსით, დროებით, სკოლის ექიმის პოზიციაზე დაასაქმოს ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი (შესაბამისად, კონკურსში კანდიდატისადმი გათვალისწინებული იქნება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილებასაც ექთანიც შეძლებს) - იხ. წერილი დანართის N1 სახით.

სკოლამ ასევე წარმოადგინა 2025 წლის 6 ნოემბრის, #56 ბრძანება, ექიმის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ (არ ახლავს დანართი). სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლის დირექტორის 2025 წლის 3 ნოემბრის #55 ბრძანებით განისაზღვრა საკონკურსო კომისია, რომელსაც დაევალა ექიმის შერჩევის მიზნით კონკურსის ჩატარება შესაბამისი პროცედურების დაცვით, კანონმდებლობის შესაბამისად. საკონკურსო ოქმების (2025 წლის 27 ოქტომბრის და 2025 წლის 20 ოქტომბრის ოქმი) შინაარსის თანახმად, კომისიამ განიხილა ექიმის პოზიციაზე კადრის შერჩევის საკითხი და შეარჩია ექიმის პოზიციაზე კადრი. უნდა აღინიშნოს, რომ ოქმებში აღნიშნული თარიღები არ არის თანხვედრაში კონკურსის გამოცხადების და საკონკურსო კომისიის თარიღებთან, კონკურსი გამოცხადებულია 27 ოქტომბერს, საკონკურსო კომისია დამტკიცებულია 3 ნოემბრის ბრძანებით, ხოლო ოქმები უსწრებს კონკურსის ეტაპებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ოქმი (დოკუმენტების გადარჩევის ეტაპი) დათარიღებულია 27 ოქტომბრით, ხოლო მეორე ოქმი (პერსონალის შერჩევის დამადასტურებელი) დათარიღებულია 20 ოქტომბრით. ოქმით განსაზღვრულია, რომ სხდომას ესწრება საგანმანთლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, თუმცა მისი ხელმოწერით არ არის დადასტურებული. ადგილზე ექიმის პირადი საქმის შესწავლით იდენტიფიცირდა, რომ სკოლის ექიმის პოზიციაზე დასაქმებულია ექიმი სტომატოლოგის კვალიფიკაციის მქონე პირი, რომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ: საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების თანახმად (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი) სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში:

ა) „პედიატრია";

ბ) „საოჯახო მედიცინა";

გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი".

აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ განმარტა, რომ ექიმის შერჩევის დროს დაეყრდნო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 15 ოქტომბერის წერილს (MES 2 250001350461), რომლის თანახმად, ექიმის კადრი რეგიონში/რაიონში, რადგან დეფიციტს წარმოადგენს სამინისტრომ გასცა თანხმობა ექიმის პოზიციაზე ექთნის კვალიფიკაციის მქონე კადრის დროებით დასაქმების შესახებ.

ასევე, სკოლის ექიმთან 2025 წლის 11 ნოემბერს გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება და ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1. პუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია 2025 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით. აღნიშნული სავარაუდოდ წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რაც ***სასურველია დაკორექტირდეს***.

<u>რჩევა:</u> *სასურველია სკოლამ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების თანახმად (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი), დაასაქმოს ექიმის პოზიციაზე ამავე ბრძანებით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კადრი, ხოლო ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით და ექთნის პოზიციაზე დასაქმდეს ბრძანებით განსაზღვრული ექთნის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კადრი.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლამ წარმოადგინა 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომლის ერთ - ერთ ამოცანას წარმოადგენს პერსონალის მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესება. აღნიშნული ამოცანა მოიცავს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის დანერგვას, პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვას, თანამშრომელთა სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმების დანერგვას, თანამშრომელთა წახალისების სისტემის გაუმჯობესება / დახვეწას, ადამიანური რესურსების მუდმივ განვითარებას. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის ადაპტაციის წესი, შინაგანაწესი. სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები, რომლითაც განსაზღვრულია თითოეული სტრუქტურული ერთეულის როლი საგანმანათლებლო პროცესში, აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები, სამეურვეო საბჭოს ფუნქციები, დისციპლინური კომიტეტი, კათედრის ფუნქციები, მრჩეველთა საბჭოს ფუნქცია - მოვალეობები და ა.შ. დოკუმენტის შინაარსის გათვალისწინებით ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლამ წარმოადგინა სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი, დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 3 სექტემბრის სხდომაზე. აღნიშნული დოკუმენტის შინაარსის გათვალისწინებით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, რომელიც ითვალისწინებს მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, აგრეთვე განსაკუთრებული მნიშვნელობის და სირთულის სამუშაოს შესრულებისთვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისთვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები, როგორიცაა ბრძანებით მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და ა.შ. დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს 3 სექტემბრის სხდომაზე;
- სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები;
- ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 27 ოქტომბრის #54 ბრძანება;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 6 ნოემბრის, #56 ბრძანება, რომლითაც დამტკიცებულია ექიმის შტატზე ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ (არ ახლავს დანართი).
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 3 ნოემბრის #55 ბრძანება საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 15 ოქტომბერის წერილი (MES 2 250001350461).

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ხარისხის შეფასების შიდა და გარე მექანიზმები, შიდა შეფასება ითვალისწინებს სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასებას, მათ შორის შეფასების შედეგებზე რეაგირებას მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნების და ფუნქცია - მოვალეობების დოკუმენტით განსაზღვრულია ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის ფუნქციები. ასევე აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს კათედრის ფუნქციებს, რომლის ერთ - ერთ ფუნქციას წარმოადგენს: ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისათვის; პროფესიული განვითარების გზების დასახვა; ხოლო კათედრის ხელმძღვანელის ფუნქციას წარმოადგენს "პროფესიული განვითარებისთვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვ.) ორგანიზება". აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლას სხვადასხვა დოკუმენტებში განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

<u>რჩევა:</u> *სასურველია სკოლამ შექმნას პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროების დადგენის ერთიანი დოკუმენტი, სადაც მეტად მკაფიოდ და უფრო დეტალურად განისაზღვრება მექანიზმები.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლამ წარმოადგინა SWOT ანალიზი, სადაც იდენტიფიცირებულია დადებითი და გასაუმჯობესებელი მხარეები, ასევე SWOT ანალიზის საფუძველზე, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განსაზღვრულია შესაბამისი ღონისძიებები. სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება, რომელიც განსახორციელებელ აქტივობებად ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიული აქტივობების კვლევას, თანამშრომელთა განვითარებისათვის საჭირო ტრეინინგების, სემინარების მოძიება/ინფორმაციის მიწოდება, გაკვეთილზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია ადმინისტრაციული/ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება, რომელიც განსახორციელებელ აქტივობებად ითვალისწინებს თანამშრომელთა პროფესიული აქტივობების კვლევას, თანამშრომელთა განვითარებისათვის საჭირო ტრეინინგების, სემინარების მოძიება/ინფორმაციის მიწოდება, გაკვეთილზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება. დასაქმებული პერსონალის შესახებ ინფორმაციის ამსახველი ინფორმაციის შემცველი რეესტრით (ემისის ბაზის ამონაწერი), ასევე პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის თანახმად დგინდება, რომ პერსონალი მუდმივად ზრუნავს კვალიფიკაციის ამაღლებაზე. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნების და ფუნქცია - მოვალეობების დოკუმენტით განსაზღვრულია ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ჯგუფის ფუნქციები. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის შინაარსის თანახმად, დასახული მიზნების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფს, პერსონალის კვალიფიციურობაზე ზრუნვას, ასევე ადამიანური რესურსის განსაზღვრასა და მხარდაჭერის პოლიტიკას (ტრეინინგების ორგანიზება, სერტიფიცირება, კონფერენციებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა).

<u>რჩევა:</u> *სასურველია სკოლამ საგანმანათლებლო, პროფესიულ ან/და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან გააფორმოს მემორანდუმ (ებ)ი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნება, სკოლის პერსონალის კარიერული ზრდის მიზნით, სხვადასხვა ტრეინინგების, კურსების, გადამზადების და აშ. გავლის საკითხები.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია</u>

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლამ წარმოადგინა ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა, დოკუმენტით განისაზღვრება, ახალმიღებული თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის მნიშვნელობა, ადაპტაციის პროცედურის შესახებ ინფორმაცია, ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცესის ზოგადი მონახაზი, სამუშაოზე გამოსვლამდე პერიოდი, სამუშაოზე გამოსვლის შემდგომი პერიოდი, ადაპტაციის პროცესის სხვა შემთხვევები, როგორიცაა: სამუშაო ადგილზე დაბრუნება დეკრეტული შვებულების, სასწავლო შვებულების ან ხანგრძლივი ავადობის შემდეგ, ადაპტაციის პროცესში მონაწილე მხარეები და მათი როლი,

დოკუმენტს თან ერთვის ადაპტაციის პროცედურის დანართები. დოკუმენტის შესწავლით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შევღელეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი; შინაგანაწესის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია წახალისების ფორმების, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მარალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სამართლის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების ფორმები. აღნიშნულის გათვალისწინებით, წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შევღელეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა;
- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნების და ფუნქცია - მოვალეობების დოკუმენტი;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე. დოკუმენტის შინაარსი მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებს, დასახული მიზნების მისაღწევად განსაზღვრულ მექანიზმებს, როგორიცაა: სკოლაში მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების შეფასების წესების შემუშავება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობით; საბიბლიოთეკო რესურსების, სასწავლო რესურსების და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ - ტექნიკური, ადამიანური რესურსების განსაზღვრის და მხარდაჭერის პოლიტიკას, წესებს, ვალიდური და გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას; განმსაზღვრელი, განმავითარებელი, სადიაგნოსტიკო შეფასების გამოყენებას და მიღებული შედეგების ანალიზისა და მონიტორინგის საფუძველზე კურიკულუმის რევიზიას; შეფასება ემსახურება პროგრამების უწყვეტ გაუმჯობესებას და სასკოლო საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებას. უზრუნველყოფს პროცესების შედეგად დაგეგმილი და განხორციელებული ნებისმიერი აქტივობის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას; მოსწავლეების მხარდამჭერი სერვისებისა და მრავალფეროვანი რესურსების შემუშავებას, დანერგვასა და მუდმივ გაუმჯობესებას. დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ კოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები და.შ. სკოლის ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურის დოკუმენტით განსაზღვრულია მექანიზმები, რომელსაც სკოლა იყენებს პერსონალის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის მიზნებისთვის. სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების და ფუნქცია მოვალეობების დოკუმენტით გათვალისწინებულია თითოეული სტრუქტურული ერთეულის/თანამდებობის პირის/კოლეგიური ორგანოს ფუნქციები. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალის ფუნქციები, მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები. სკოლას სხვადასხვა დოკუმენტაციაში იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას შემუშავებული აქვს "მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის" დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების საკითხები; სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შევღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების და ფუნქცია მოვალეობების დოკუმენტის თანახმად სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, კომიტეტის უფლება-მოვალეობები. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად და თანამშრომლებთან/მოსწავლეებთან/მოსწავლეთა კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს აღნიშნული პირების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევ საჩივრის განხილვის სისტემა. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა "მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის" დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მოსწავლის და მისი კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები, პერსონალის კანონიერი უფლებები, სკოლის შინაგანაწესი, როგორც მათი უფლებების დაცვის ერთ - ერთი მექანიზმი, სკოლის მხრიდან პერსონალის, მშობლის / მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმი. დოკუმენტის შინაარსის გათვალისწინებით სკოლაში

მოქმედებს პერსონალის, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დამტკიცების შესახე სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 ნოემბრის N 64 ბრძანება;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი;
- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შევღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების და ფუნქცია მოვალეობების დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა, რომლითაც განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის ელემენტები, ციკლი, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები. სკლის შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალის უფლება-მოვალეობები.

<u>მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში,</u> სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას მოსწავლეებმა, მშობლებმა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ძირითადად ზეპირსიტყვიერად ახორციელებს უკუკავშირის მიწოდება და სასკოლო

საზოგადოების საჭიროებების დადგენას. ასევე აღინიშნეს, რო სკოლისთვის განცხადებით მიმართვის შემთხვევაში სკოლა წერილობითი ფორმით სცემს პასუხს. დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები. ‘

<u>რჩევა:</u> *სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი, რითაც განისაზღვრება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის, ინფორმაციის შეგროვებასთან, სასკოლო საზოგადოების საჭიროებების კვლევასთან და რეაგირებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას, მათგან უკუკავშირის მიღებასა და მასზე რეაგირების მექანიზმების დახვეწას.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია პერსონალის უფლება - მოვალეობები. სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები, რომლითაც განსაზღვრულია თითოეული სტრუქტურული ერთეულის როლი საგანმანათლებლო პროცესში, აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ასევე პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები, სამეურვეო საბჭოს ფუნქციები, დისციპლინური კომიტეტი, კათედრის ფუნქციების, მრჩეველთა საბჭოს ფუნქცია - მოვალეობები და ა.შ. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სადაც განხილულია სკოლაში კვების უზრუნველყოფის საკითხი და იკვეთება სკოლის კოლეგიურ ორგანოში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში / მართვის კოლეგიურ ორგანოებში ჩართულობა. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების და ფუნქცია მოვალეობების დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;

- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი # 1.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სკოლა შემოღობილია და შენობას გარეშე პირთა გადაადგილებისგან იცავს დარაჯი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხიმგებელი პირი, რომელიც გადამზადებულია სსიპ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით.

სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეების გაკვეთილებზე დასწრების კონტროლს. მოსწავლის გაკვეთილიდან გათავისუფლება ხდება დირექციის მიერ შემუშავებული სპეციალური ფორმის საფუძველზე. გათავისუფლებამდე ხდება მოსწავლის მშობლის ინფორმირება. დიდი ყურადღება ეთმობა დამრიგებლის მიერ მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის მიზეზების დადგენას. სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგეობის გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ სკოლაში წესრიგს.

ხარვეზი:

სკოლის შენობაში განთავსებულია სახანძრო აღჭურვილობა, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა 12.10.2023 წლის მიწერილობა - სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი N 323, სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოება არ შეესაბამება დადგენილ ნორმებს; მას შემდგომ, სკოლას **აღარ მიუმართავს** უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

დაწესებულებას **არ აქვს** უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

სკოლამ წარმოადგინა მიმართვა და ხელშეკრულება ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის შემუშავების მიზნით; თუმცა, ვიზიტის პერიოდში, თავად დასკვნა **არ იყო** მომზადებული.

სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეო-მეთვალყურეობის სისტემა, რომელიც აკონტროლებს როგორც შიდა ისე გარე პერიმეტრს. თუმცა, სკოლის გარე პერიმეტრზე, მთავარ შესასვლელთან ფიქსირდება კამერები **მხოლოდ ერთი მიმართულებით**. სკოლის შიდა პერიმეტრზე განთავსებული ვიდეო-თვალთვალის სისტემა უზრუნველყოფს სკოლის ყველა დერეფნის ვიდეო-კონტროლს, თუმცა ფოიეში არის სივრცე, რომელიც, სავარაუდოდ, **არ ხვდება** არც ერთი კამერის არეალში. აღნიშნულის დადგენა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ვიზიტის დროს დაზიანებული იყო კომპიუტერული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების გამოსახულებების ტრანსლაციას და ჩაწერას. დაწესებულების ხელმძღვანელს მიმართული ჰქონდა რამდენიმე ინსტანციისთვის პრობლემის მოგვარების მიზნით და სწორედ, ვიზიტის დროს, მიიღო თანხმობა მოწყობილობის შესაკეთებლად.

რჩევა: *სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.*

<u>შენიშვნა:</u> დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვების თარიღი (15.09.2026); საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების თარიღი (15.09.2026). შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვების თარიღი (15.09.2026) და ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის გამართვის თარიღი (15.04.2026).

<u>ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად.

რჩევა: დაწესებულებას მიეცა რჩევა, ექიმის კაბინეტი სრულად დააკომპლექტოს წესის შესაბამისად განსაზღვრული ინვენტარით.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სკოლა ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და პირობებით'' გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

სკოლაში ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მრჩეველთა საბჭო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხები, მიიღოს შესაბამისი რეკომენდაციები და წარუდგინოს სკოლის დირექტორს რეაგირებისთვის. მრჩეველთა საბჭოს ფუნქციებში შედის სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების ჩატარების შესახებ ინიციატივების შემუშავება და დირექტორისთვის წარდგენა.

სკოლაში განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე, განაწილებულნი არიან მორიგე მასწავლებლები სართულების მიხედვით, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა გადაადგილებას და უზრუნველყოფენ საფრთხეების თავიდან აცილებას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

ზედა ინდიკატორისა აღწერილობის, სკოლის შინაგანაწესისა და სხვა დებულებების შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს.

გარდა ამისა, დაწესებულებაში შეინიშნება მშობლების ჯანსაღი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, მათი მჭიდრო კონტაქტი დამრიგებლებთან,, რაც პრობლემების მოგვარების და ჯანსაღი კლიმატის შექმნისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში დასაქმებული ექიმი, რომელიც ზედამხედველობას უწევს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შენარჩუნებას. სკოლას ჰყავს დამლაგებლები, მათ ხელშეკრულებაში გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები. გარდა სკოლის შტატითა და შტატგარეშე თანამშრომლებისა, სკოლას ჰყავს სოციალური პროექტებით დასაქმებული მეეზოვე, დამლაგებელი, დარაჯი და სხვა დამატებითი თანამშრომლები.

დაწესებულება უზრუნველყოფილია წყლის უწყვეტი მომარაგებით და სანიტარულ - ჰიგიენური საშუალებით. საპირფარეშოებსა და ადაპტირებულ ტუალეტებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არის ონკანები, ნიჟარები, თხევადი საპნები, ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერები და ურნები. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია განათების უწყვეტი მიწოდებით. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას შემუშავებული აქვს ,პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, სადაც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები, მონაცემების დაცვა ვიდეო-მეთვალყურეობის განხორციელებისას, განსაზღვრულია სკოლის რომელ თანამშრომელს აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემზე და სხვ.

სკოლის სოციალურ ქსელში ფოტომასალა ქვეყნდება მშობელთა ნებართვების საფუძველზე. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეს და მშობელს მიეწოდება პირადად და ელექტრონული ჟურნალით. სკოლა იცავს როგორც მოსწავლისა და მისი მშობლის/მეურვის, ასევე - სკოლაში დასაქმებული მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის პერსონალური ინფორმაციას.. შემუშავებული და თითოეულ მშობელთან შეთანხმებულია სხვადასხვა სახის პერსონალური ინფორმაციის დამუშავების შესახებ ნებართვის ფორმა.

სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც არის რესურსცენტრის მიერ ბრძანებით გამოყოფილი პირი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს ინფორმაციის დაცვის მექანიზმი. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებას და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირებს. სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას. სკოლის დირექტორის და საქმისმწარმოებლის განმარტებით, სკოლის ხელთ არსებული მონაცემები დაცულია შემთხვევითი, ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოქვეყნებისგან. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა სკოლასთან ერთად უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არა ავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმე ინახება სკოლაში დაცულ ადგილას, მის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასება და შეფასების შედეგების გაუმჯობესებისთვის გამოყენება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მიმართვა და ხელშეკრულება ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის შემუშავების მიზნით;
- სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი N 323, სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოება <u>არ შეესაბამება</u> დადგენილ ნორმებს;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შინაგანაწესი;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- თანხმობის ხელწერილი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლას სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს 14586.00 კვ. მ მიწის ნაკვეთი და 2 შენობა-ნაგებობა: სკოლის ძირითადი შენობა (N1) და საქვაბე (N2). სკოლის შენობა განთავსებულია განაშენიანების ფართზე - 946.86 კვ.მ; 2007 წლით დათარიღებული პასპორტით კი დგინდება, რომ სკოლის საერთო ფართია 1344.54 კვმ. სკოლის შენობა ორსართულიანია. შენობაში განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა / ლაბორატორიის ოთახი; კვების ბლოკი (სასკოლო ბუფეტი), საკლასო ოთახები, სამედიცინო კაბინეტი, სპორტული დარბაზი, ვიდეო-სამეთვალყურეო ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს ვრცელი ეზო როგორც შენობის წინა, ისე უკანა მხარეს. სკოლის უკანა ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი. ეზოში ასევე განთავსებულია საპირფარეშოები და საქვაბე. სკოლის შესასვლელს აქვს პანდუსი, შენობაში კი დამონტაჟებულია ლიფტი. სამასწავლებლო აღჭურვილია მაგიდებით, კარადებით, კომპიუტერებით, პრინტერით. კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია გამართული კომპიუტერებით და პროექტორით. სკოლას აქვს ფორტეპიანო და დინამიკები.

სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ისე მხატვრულ ლიტერატურას და დამხმარე სახელმძღვანელოებს.

ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული საპირფარეშოები.

სკოლას აქვს სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების და საკანცელარიო ნივთების მარაგი, ასევე სასკოლო რესურსები, რომელიც მუდმივად განახლების პროცესშია. სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო, ელექტროენერგია, ცენტრალური გათბობა (ნავთობზე და ელექტრო ენერგიაზე), ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელი წყალი, საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება.

შესაბამისად, სკოლას აქვს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლის შენობა არის ახალი რეაბილიტირებული (რეაბილიტაცია დასრულდა 2022 წელს).

<u>ვიზიტის პერიოდში,</u> დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა რეაბილიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. როგორც გასაუბრებით დადგინდა, სასკოლო დოკუმენტაციის ნაწილი წინა დირექციამ არ (ვერ) გადასცა 2024 წელს დისკრეციით დანიშნულ და ამჟამად მოქმედ დირექტორს. არ არის წარმოდგენილი რეაბილიტაციის მიღება-ჩაბარების აქტები, შენობისა და ლიფტის ექსპლუატაციაში შესვლის დოკუმენტაცია, ლიფტის გასაღები, განახლებული აზომვითი ნახაზი. ასევე, გასაახლებელია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

<u>რჩევა:</u> *დაწესებულებას მიეცა რჩევა, განაახლოს აზომვითი ნახაზი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.*

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სასკოლო საზოგადოების წევრებს შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის ბიბლიოთეკით. სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ამ პროცესებში ჩართულ პირებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული და ინტელექტუალური ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას, პროექტორებს, სხვა რესურსებს. მონიტორინგის ვიზიტის დროს, ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა მოსწავლეებთან, პედაგოგებთან და მშობლებთან გასაუბრებით. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას გააჩნია საბიბლიოთეკო რესურსები სასწავლო პროცესის განსახორციელებლად. სკოლას აქვს შემდეგი საგანმანათლებლო რესურსები:

- გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;
- დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

ყველა მოსწავლე სრულადაა უზრუნველყოფილი სასკოლო სახელმძღვანელოებით, რომელიც ყოველი წლის დასაწყისში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლის პირველი სართული და შესასვლელი ადაპტირებულია. შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილები. დამონტაჟებულია ლიფტი. თუმცა, მონიტორინგის ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ დაწესებულების მოქმედ დირექტორს წინა დირექციისგან არ გადაეცა

ლიფტის მექანიზმის გასაღები. ამ მიზეზით, მისი გამოყენება შეუძლებელია. სკოლის დირექტორს ჰქონდა არა ერთი მცდელობა, მოეგვარებინა აღნიშნული პრობლემა, თუმცა ამ დრომდე უშედეგოდ.

ხარვეზი: ვინაიდან შენობაში დამონტაჟებული ლიფტი არ არის მოქმედი, ხოლო მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებზე არ ფიქსირდება პანდუსი, სკოლის ინფრასტრუქტურა **ვერ უზრუნველყოფს** ინკლუზიურ გარემოს.

შენიშვნა: *დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შენობაში დამონტაჟებული ლიფტის შეკეთებისა და ამოქმედების თარიღი (15.01.2026).*

ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა (სკოლის შენობა, ეზო, სპორტული დარბაზი, გარე მოედანი), ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ერთმანეთთან, სასკოლო საზოგადოებისა და თემის სხვა თანატოლ თუ ზრდასრულ წარმომადგენლებთან ერთად. სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრულია მოსწავლეთა ნამუშევრები, საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები და მოსწავლეების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებები. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სკოლაში ახლად შექმნილ ცეკვის წრეში; მოქმედებს სხვადასხვა საგნობრივი კლუბები. დაწესებულებაში იგეგმება და ხორციელდება მოსწავლეთა და პედაგოგთა მიერ შეთავაზებული არაერთი პროექტი და ღონისძიება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის პასპორტი (2007 წ.);
- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკის დებულება და ქცევის წესები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების სრულფასოვან წარმართვას. დირექციაში, სამასწავლებლოში, საქმისმწარმოებელთან, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ოთახში განთავსებულია კომპიუტერები პრინტერები და სხვა ტექნიკა. კერძოდ, სკოლას აქვს 8 ლეპტოპი მოსწავლეებისთვის, ხოლო 6 ადმინისტრაციისთვის. <u>მონიტორინგის პერიოდში,</u> სკოლაში ფუნქციონირებდა კომპიუტერული ლაბორატორია და მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში მათთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები, გაკვეთილის მომზადების მიზნით. სკოლის ადმინისტრაცია ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურას იყენებს ეფექტურად. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისთვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. კომპიუტერების ძირითადი ბაზა განთავსებულია ადმინისტრაციულ პერსონალთან, სკოლის შენობის მეორე სართულზე. სკოლა უზრუნველყოფილია ინდივიდუალური კომპიუტერებით, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. <u>მონიტორინგის ვიზიტის დროს,</u> მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ საჭიროების შემთხვევაში მათთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ტექნიკა, შეუძლიათ მოიძიონ მათთვის საჭირო ელექტრონული რესურსები, მრავალფეროვანი მასალები, გაკვეთილის მომზადების მიზნით. სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია საინფორმაციო რესურსის გაუმჯობესება. დოკუმენტაციის შესწავლითა და მონიტორინგის ვიზიტის დროს სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისთვის.
<u>რჩევა:</u> *სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი, რომელშიც უფრო დეტალურად იქნება განხილული ინფორმაციულ-ტექნიკური რესურსების გამოყენება.*
<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების დებულება (პროექტი), რომლის მიზანია სკოლაში წარმოებული ნებისმიერი დოკუმენტის სწორად, დროულად მომზადება, გაფორმება, აღრიცხვა. დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია დოკუმენტაციის სახეები, შემოსული დოკუმენტაცია, მისი რეგისტრაციაში გატარება, სარეგისტრაციო ნომრის მინიჭება, რეზოლუციის დადება, გასული დოკუმენტაცია და მისი რეგისტრაციაში გატარება, აღწერილია ცნობის, წერილის მომზადების წესი, შიდა დოკუმენტაციის წარმოება, ბრძანებების მომზადება და რეგისტაცია, ხელშეკრულებების მომზადება და რეგისტრაცია. აღსანიშნავია, რომ დებულების შინაარსის მიხედვით სკოლაში დოკუმენტების წარმოება მიმდინარეობს მატერიალური ფორმით, თუმცა რეალურად მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში სკოლაში დოკუმენტების, კერძოდ: შემოსული, გასული, შიდა მიმოწერის ასევე ბრძანებების წარმოება და რეგისტრაცია მიმდინარეობდა ელექტრონული eflow სისტემის მეშვეობით. რაც შეეხება ხელშეკრულებებს მათი წარმოება მიმდინარეობს მატერიალური ფორმით, <u>თუმცა მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში, ხელშეკრულებები არ იყო აღრიცხული /რეგისტრირებული სპეციალურ ჟურნალში, არ იყო დაცული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და სკოლის შიდა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მოთხოვნა, კერძოდ დადგენილი რეგისტრაციის წესი.</u> ასევე არ არის შესაბამისობაში საქმისწარმოების დებულება და ელექტრონული ბრუნვის მეშვეობით მიმდინარე საქმისწარმოება.

აღსანიშნავია, რომ სკოლის მიერ მოწოდებულ ზოგიერთ დოკუმენტაციაში იკვეთება ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ გამოყენებულია სხვა სკოლის სახელწოდება, რაც სასურველია გასწორდეს. სკოლის მიერ მოწოდებული, ექიმის საკონკურსო მასალაში, დაშვებული უზუსტობები, კერძოდ კონკურსის მეორე ოქმი თარიღით უსწრებს წინა პირველ ოქმს, ასევე არ არის ხელმოწერილი დამსწრე წევრის მიერ. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით, <u>სკოლაში არსებული საქმისწარმოების დებულება არ არის შესაბამისობამსობაში, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით სკოლაში არსებულ საქმისწარმოებასთან</u>. ასევე, არ არის დაცული საქმისწარმოების დებულებით განსაზღვრული მოთხოვნა, კერძოდ არ არის აღრიცხული/რეგისტრირებული სკოლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები.

<u>ხარვეზი:</u> ***სკოლაში არსებული საქმისწარმოების დებულება არ არის შესაბამისობაში, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით სკოლაში არსებულ საქმის წარმოებასთან. ასევე, არ არის დაცული საქმისწარმოების დებულებით განსაზღვრული მოთხოვნა, კერძოდ არ არის აღრიცხული/რეგისტრირებული სკოლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები.***

<u>რჩევა:</u> სასურველია გასწორდეს სკოლის მიერ წარმოებულ ზოგიერთ დოკუმენტაციაში დაშვებული ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ დაკორექტირდეს სხვა სკოლის სახელწოდება, სკოლის რეალური სახელწოდებით.

<u>შენიშვნა: დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია საქმისწარმოების წესის შემუშავების თარიღი (15.01.2026).</u>

<u>ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილ შესაბამისობაშია.</u>

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა

სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (EFLOW). სკოლაში შემოსული და გასული დოკუმენტაცია, დირექტორის ბრძანებები, ცნობები რეგისტრირდება საქმისმწარმოებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში. უწყებებს შორის კომუნიკაცია მიმდინარეობს EFLOW დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით. eSchool-ის სისტემაში ხდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის ასახვა. სისტემაში ასახულია სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაცია, დასაქმებული პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები. სკოლის აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა. დგინდება, რომ სკოლა იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში

სკოლას აქვს პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა eSchool-ში. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ინფორმაცია თანამშრომლების, მოსწავლეების, კლასების, საგნების, საგაკვეთილო ცხრილის და ა.შ. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან

სკოლის მიერ შემოსულ წერილებზე რეაგირება ხდება განსაზღვრული/მოთხოვნილი ვადების დაცვით. დოკუმენტბრუნვის სისტემაში არსებული წერილების/მიმოწერის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებსა და თანამშრომლობს მათთან. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის საქმისწარმოების დებულება (პროექტი);
- სკოლის 2025 წლის 2 ოქტომბრის MES 0 25 0001274329 წერილი, ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 15 ოქტომბრის MES 2 25 0001350461
- წერილი;
- ამონაწერი eSchool-ის სისტემიდან;
- ექომის შერჩევის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის ოქმები (ნომერ პირველი ოქმი 27 ოქტომბერი 2025, ნომერ 2 ოქმი (20.10.2025).

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებგვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი https://skolebi.emis.ge/schools/1708?schoolName სოციალურ ქსელში შექმნილია სკოლის გვერდი, სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა. ვებ - გვერდის, სოციალური ქსელის დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იყენებს საკომუნიკაციო საშუალებების საზოგადოების ინფორმირების, კომუნიკაციის მიზნით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში, მშობლებმა, მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაციასთან ხშირად იმართება შეხვედრები, ასევე მოსწავლეებს ხვდება დამრიგებელი და იღებს უკუკავშირს მათი საჭიროებების და კმაყოფილების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ზეპირსიტყვიერად მიღებული ინფორმაცია, ელ. ფოსტებზე შემოსული შეტყობინებები, განიხილება სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგიურ კოლექტივში და იგეგმება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის გვერდია https://skolebi.emis.ge/schools/1708?schoolName რომელზეც განთავსებულია ქართულენოვანი ტექსტები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდი შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელწოდებები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, სკოლის ბიუჯეტი და საკონტაქტო ინფორმაცია. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ - გვერდი skolebi.emis.ge;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის ფინანსური რესურსი ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების მყარ საფუძველს. სკოლის შემოსავლის წყარო არის ვაუჩერული დაფინანსება და სსსმ მოსწავლის პროგრამული დაფინანსება. სკოლის შემოსავლის ძირითადი ნაწილი განკუთვნილია მასწავლებლების, ტექ.პერსონალის და თანამშრომლების ხელფასებისა და კომუნალური ხარჯების გასასტუმრებლად. სკოლას აქვს შესყიდვების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც პერიოდულად ხორციელდება კორექტირება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ასევე, სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული და დამტკიცებული 2025 წლის ბიუჯეტი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ახორციელებს ფინანსური რესურსების დაგეგმვას, ცვლილებას, განკარგვასა და მონიტორინგს. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სავარაუდო შემოსავლები ვაუჩერული დაფინანსებიდან, სამინისტროს მიერ მიზნობრივი დახმარების პროგრამებიდან და სხვა. ბიუჯეტის დაგეგმვა ხდება გასული წლის მონაცემების დამუშავებით, გათვალისწინებულია ასევე წინა წლის შესყიდვების გეგმის შესრულების ხარჯვითი ნაწილი, განსაზღვრულია ახალი საჭიროებები, გათვალისწინებულია სკოლის ბიუჯეტის ოდენობა, რაც რჩება ხელფასის, კომუნალური და სხვა აუცილებელი ხარჯების შემდეგ. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად;. გეგმის შექმნამდე სკოლა ითვალისწინებს კათედრების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას სასკოლო კურიკულუმებისა და პროექტების განსახორციელებელი საჭირო რესურსების შესყიდვების შესახებ.

სკოლას დანერგილი აქვს ფინანსური ანგარიშგების სისტემა. კერძოდ, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, სამეურვეო საბჭოს დირექტორი წარუდგენს ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელიც დგება გასული პერიოდის ანალიზის საფუძველზე. **<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფაქტობრივი ბიუჯეტი;
- ბიუჯეტის დამტკიცების ოქმი;
- ბიუჯეტის ცვლილების ოქმი;
- შესყიდვების წლიური გეგმა და დამტკიცების ბრძანება;;
- ფინანსური საქმიანობის შესახებ დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებული დაცვის საკითხები. დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრულია, რომ კლასის დამრიგებელი აცნობს მოსწავლეებს მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ ინფორმაციას. ინფორმაცია მოსწავლეებს მიეწოდება ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელითაც განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმები. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო რეგულაციები, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ა.შ. დოკუმენტების შინაარსის თანახმად, სკოლა პერიოდულად ახორციელებს რეგულაციის გაზიარებას მოსწავლეებისთვის. მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ დამრიგებელი პერიოდულად აცნობს მოქმედ წესებს, ასევე სკოლის ადმინისტრაციული პერსონალი შეხვედრების მეშვეობით აცნობს სასკოლო საზოგადოებას მოქმედ რეგულაციებს. დოკუმენტაციის შესწავლით და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. <u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლაში ვიზიტის დროს, შერჩევითი პრინციპით შესწავლილ იქნა მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება - მოვალეობები და ა.შ. საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსით დგინდება, ის არის კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლების დაცვის დოკუმენტი;
- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის #63 ბრძანება;
- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერო უფლების დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 ნოემბრის #64 ბრძანება;
- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებული სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 3 სექტემბრის #1 სხდომაზე;
- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025 - 2026 სასწავლო წელი);
- მოსწავლესთან/ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. აღნიშნული წესის შინაარსის შესაბამისად განსაზღვრულია პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრა, პირველ კლასში მოსწავლის რეგისტრაცია, პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვა, ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა, გარდა პირველი კლასისა მოსწავლის ჩარიცხვა, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების და ჩარიცხვის პროცედურები, მოსწავლის სტატუსის შეჩერების და აღდგენის პროცედურები, მოსწავლის კლასიდან - კლასში გადაყვანა, ზოგადი განათლების სისტემის მართვა. დოკუმენტის შესწავლის თანახმად დგინდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. სკოლის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იცავს აღნიშნული წესით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის განსაზღვრულ პროცედურებს. სკოლის ადმინისტრაციამ ასევე აღნიშნა, რომ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებით ჩარიცხვაზე მოსწავლეს, მის კანონიერ წარმომადგენელს, არ მიუმართავს სკოლისთვის. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სკოლაში არსებული ცეკვის წრის, კლუბების შესახებ ინფორმაცია. ასევე მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლაში თუ რაიონში არსებული აქტივობების, დამატებითი მომსახურების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციამ ასევე აღნიშნა, რომ სკოლის პედაგოგი, ქალაქ ფოთში არსებულ სპორტულ სივრცეში უსასყიდლოდ უტარებს მეცადინეობებს ფრენბურთში. სკოლის შენობაში, ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია მოსწავლის ქცევის წესები, გაკვეთილების ცხრილი და სხვა ინფორმაცია. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი

სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია სკოლაში არსებული ცეკვის წრის, კლუბების შესახებ ინფორმაცია. სკოლაში არსებული ქცევის წესები, საგაკვეთილო ცხრილი. ასევე მოსწავლეებმა, მოსწავლეთა მშობლებმა/კანონიერმა წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლაში თუ რაიონში არსებული აქტივობების, დამატებითი მომსახურების შესახებ, კლასის დამრიგებელი აქტიურად არის ჩართული ინფორმაციის მიწოდების პროცესში. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი;
- სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავებული და სკოლის დირექტორის #63 ბრძანებით დამტკიცებული აქვს "სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი", წესის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია, საშუალო/საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაცია, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები და რეკომენდაციები, დეზადაპტაციის ნიშნები. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში მოქმედი დოკუმენტით "სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი", დგინდება, რომ მოსწავლის პირველ კლასში მიღებიდან სკოლის საშუალო საფეხურის დაძლევამდე სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. დოკუმენტის შესაბამისად სკოლა, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით იყენებს ისეთ მექანიზმებს როგორიცაა სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სკოლის დათვალიერება, თუ ბავშვის დედმამიშვილები დადიან სკოლაში მათი მაგალითების აღწერა. შემუშავებული მექანიზმების შესაბამისად, მოსწავლის ადაპტაციის მიზნით სკოლა იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს. ასევე მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლის ადაპტაციის პროცესში აქტიურად არის ჩართული კლასის დამრიგებელი, ხშირად იმართება სხვადასხვა სახის ღონისძიებები/აქტივობები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეს ხელს უწყობს ადაპტაციის სასწავლო გარემოსთან. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები, აღნიშნული დოკუმენტის შინაარსის თანახმად, კათედრის თავმჯდომარის ერთ - ერთ ფუნქციას წარმოადგენს - შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი; სკოლის 2025 - 2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის შექმნა. მოსწავლეებმა გასაუბრების დრო აღნიშნეს, რომ აქტიურად არის ჩართული კლასის დამრიგებელი, საჭიროების შემთხვევაში მოსწავლე დამრიგებლისგან და შესაბამისი საგნის მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონირი წარმომადგენლი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების შესახებ ინფორმაცია. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი. სკოლის შინაგანაწესის თანახმად განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებების და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია. სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა, რომლის აქტივობებად გათვალისწინებულია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის გაუმჯობესება, სწავლა - სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება, კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმის დახვეწა. ასევე, მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ერთ - ერთ ამოცანად განსაზღვრულია დამატებითი სერვისების განვითარება, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: კლუბების/წრეების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება; შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა/ორგანიზება. სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის წრე სადაც რეგისტრირებული 40 მოსწავლემდე. მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სურვილი აქვთ სკოლის ტერიტორიაზე იყოს კვების ობიექტი, რაზეც სკოლამ განახორციელა რეაგირება და მიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს კვებით უზრუნველყოფის საკითხთან დაკავშირებული წერილით. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბი "ახალგაზრდა მეცნიერები", სკოლამ კლუბთან დაკავშირებით წარმოადგინა კლუბის მისიის ამსახველი დოკუმენტი, ასევე კლუბის დებულება, კლუბის შეხვედრის ოქმი (5.5.2025 წლით დათარიღებული), რომლის დღის წესრიგში გათვალისწინებულია კლუბში მოსწავლეების გაწევრიანება, კლუბის წესდების და დებულების გაცნობა, კლუბის ლიდერისა და მდივნის გაცნობა, კლუბის სამოქმედო გეგმის განხილვა. დოკუმენტაციის შესწავლითა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე პრინციპებით. დირექტორის მოადგილის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა შეფასების ანალიზის მიხედვით კვლევას რითაც გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა წარმატებით ძლევს სასწავლო გეგმას. ასევე წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად ჩანს, რომ სკოლა აკეთებს SWOT ანალიზს და მისი შედეგების მიხედვით განსაზღვრავს გასაუმჯობესებელ საკითხებს. დოკუმენტაციის შესწავლისა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დგინდება, რომ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

<u>რჩევა:</u> *სასურველია სკოლამ შეიმუშაოს ერთიანი დოკუმენტი მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების, კმაყოფილების კვლევის შესახებ, რაც უფრო მეტად შეუწყობს ხელს სასკოლო საზოგადოების/დაინტერესებულ პირთა საჭიროებების დადგენას, მათი კმაყოფილების ანალიზს და გააუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის #63 ბრძანება;
- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები;
- სკოლის 2025 - 2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის ბიოლოგიის კლუბის "ახალგაზრდა მეცნიერები" მისია;
- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის ბიოლოგიის კლუბის "ახალგაზრდა მეცნიერები" დებულება;
- სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის ბიოლოგიის კლუბი: ,,ახალგაზრდა მეცნიერები" შეხვედრის ოქმი (5.5.2025 წელი, ნომერი 1 ოქმი);
- სკოლის SWOT ანალიზი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, ერთ - ერთ აქტივობად განსაზღვრულია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა. ასევე მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ სკოლა მშირად უზრუნველყოფს მოსწავლეების შეხვედრებს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, რომლებიც საინფორმაციო შეხვედრებს ატარებენ პროფესიების და ამათი მნიშვნელობის შესახებ. სკოლის მხარდაჭერით, ვიზიტით იმყოფებოდნენ კოლეჯში, სადაც გაეცნენ სხვადასხვა სახის პროფესიების მნიშვნელობას.

<u>რჩევა:</u> *სასურველია სკოლამ, საგანმანათლებლო, ადმინისტრაციულ დაწესებულებებთან გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმ(ებ)ი/ხელშეკრულებ(ებ)ა, რათა უფრო მეტად ხელმისაწვდომი და მრავალმხრივი გახდეს მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობა.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

მოსწავლეებმა და მათმა კანონიერმა წარმომადგენლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევის კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ხშირად იმართება კარიერული დაგეგმვის საკითხზე გასვლითი ღონისძიებები სხვადასხვა დაწესებულებებში, სადაც მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას პროფესიების მნიშვნელობის შესახებ. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლამ წარმოადგინა SWOT ანალიზი, რომლის შინაარსის თანახმად განისაზღვრა სკოლაში არსებული დადებითი და სუსტი მხარეები. SWOT ანალიზის საფუძველზე ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლამ განსაზღვრა შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებები. აღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის SWOT ანალიზი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლამ წარმოადგინა "სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლეთათვის ინკლუზიური განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 ნოემბრის #66 ბრძანება. ასევე, სკოლამ წარმოადგინა "ინკლუზიური განათლების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, რომლის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, პროგრამის მიზანი, სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა, შესაფასებლად წარსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების პროცედურები, სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისგ ჯგუფის წევრები, ისგ ფორმირების ეტაპები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება, ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის მექანიზმები. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მიმართვის ფორმები. დოკუმენტის შინაარსიდან დგინდება, რომ სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლის შემუშავებული აქვს "ინკლუზიური განათლების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის", რომლის შინაარსის თანახმად განსაზღვრულია ინკლუზიური განათლება, პროგრამის მიზანი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვა, შესაფასებლად წარსადგენი დოკუმენტაცია, შეფასების პროცედურები, სსსმ მოსწავლის სწავლებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ისგ ჯგუფის წევრები, ისგ ფორმირების ეტაპები, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება, ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ისგ ჯგუფი, სადაც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, ჯგუფი დაკომპლექტებულია შემდეგი წევრებით: დამრიგებელი, სასწავლებლები რომლებიც უშუალოდ ასწავლიან საგანს, სსსმ მოსწავლის მშობელი / კანონიერი წარმომადგენელი, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტი. სასკოლო საზოგადოების განმარტებით სკოლაში სწავლობს 1 სსსმ მოსწავლე, რომელიც ჩაირიცხა 2025 - 2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში. დოკუმენტების შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლეთათვის ინკლუზიური განათლების პროგრამის დამტკიცების შესახებ სკოლის დირექტორის 2025 წლის 18 ნოემბრის #66 ბრძანება;
- ინკლუზიური განათლების პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მომსახურებას - ქართული ცეკვის წრეს. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა დღის მეორე ნახევარში, სურვილის შემთხვევაში დაეუფლონ ქართულ ცეკვას. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს ასევე აღნიშნეს, რომ საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ხშირად მიმართავენ ხოლმე მასწავლებლებს კონსულტირების მიზნით, რომლებიც უსასყიდლოდ უწევენ დამატებით მომსახურებას. სკოლაში ვიზიტის დროს, სასკოლო საზოგადოების მიერ აღინიშნა, რომ მოსწავლეთა და მშობელთა სურვილების გათვალისწინებით სკოლამ გადადგა შესაბამისი ნაბიჯები, რათა მოეწყოს სასადილო. <u>მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში,</u> სკოლას გამოყოფილი ჰქონდა ფართი აღნიშნული ობიექტის მოსაწყობად. სკოლამ 2025 წლის 15 სექტემბერს მიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანთლებლო რესურსცენტრს, კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულოო ხასიათის მომსახურება წარიმართება მარეგულირებლის მიერ გაცემული უფლების მოპოვების შემდეგ (ასეთი ნებართვის მოპოვების საჭიროების შემთხვევაში). <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლაში მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში ფუნქციონირებდა ცეკვის წრე, რომელიც ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სასკოლო მეცადინეობების დასრულების შემდეგ ჩაერთონ დამატებით მეცადინეობებში. ასევე მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში სკოლას გამოყოფილი ჰქონდა ფართი კვების ობიექტის მოსაწყობად. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, დგინდება, რომ სკოლამ კვების ობიექტის მოწყობის მიზნით ფართი იჯარის ფორმით გაცემის შესახებ საკითხი განიხილა სამეურვეო საბჭოზე. სკოლამ 2025 წლის 15 სექტემბერს მიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანთლებლო რესურსცენტრს, კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, სკოლაში ვიზიტითა და დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ დამატებითი/არასავალდებულო მომსახურების გაწევა ხდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის გონებრივ, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობას. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ცეკვის წრე, რისთვისაც სკოლას გამოყოფილი აქვს დარბაზი/სივრცე. ასევე სკოლას წერილობითი მიმართვა აქვს გაგზავნილი სკოლაში კვების ობიექტის მოწყობის მიზნით. სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლის ერთ - ერთ ამოცანას წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, უსაფრთხოების ნორმების დაცვა; სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა უფლება - მოვალეობები განმსაზღვრელი დოკუმენტი, რითაც განისაზღვრება დარაჯის ფუნქციები, რომლის ერთ - ერთ ფუნქციას წარმოადგენს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის გაკონტროლება. განრიგის შესაბამისად, სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილია პერსონალი, რომელ მორიგეობს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე; დოკუმენტაციის შესწავლით, სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და სკოლაში ვიზიტით დგინდება, რომ დამატებითი მომსახურების განხორციელების, კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება დამკვიდრებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. <u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საევაკუაციო გეგმა - ნახაზი, სადაც აღნიშნულია ბუფეტის სივრცე;
- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
- სკოლის მიერ 2025 წლის 15 სექტემბერს გაგზავნილი წერილი (წერილის ნომერი MES 7 25 0001144825) ხობის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, სკოლაში კვების ობიექტის უზრუნველყოფის შესახებ;
- სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის 2025 - 2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. განრიგის შესაბამისად, სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილია პერსონალი, რომელ მორიგეობს სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე;
- სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელეს საჯარო სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი N 1 - წერილი განათლების სამინისტროდან ექიმის შტატზე ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმებასთან დაკავშირებით.

თარიღი 24.12.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: მედეა მაქაცარია

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

15/10/2025

MES 2 25 0001350461

ქალაქ ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრს
სსიპ-ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელის საჯარო სკოლას

თქვენი წერილის (N1328859) პასუხად, რომელიც ეხება სსიპ-ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავღელის საჯარო სკოლის ექიმის პოზიციაზე ექთნის დასაქმების საკითხს, გაცნობებთ, რომ სკოლებმა უნდა იმოქმედონ 2022 წლის 21 მარტს დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" დანართი N1.2 შესაბამისად, სადაც გაწერილია სკოლებში მოსწავლეთა და სამედიცინო პერსონალის რაოდენობათა თანაფარდობა.

აქვე გაცნობებთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში შესაბამისი კომპეტენციის კანდიდატი არ დაფიქსირდა (ექიმის კადრი რეგიონში/რაიონში დეფიციტს წარმოადგენს), საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სკოლამ განმეორებითი კონკურსით, დროებით, სკოლის ექიმის პოზიციაზე დაასაქმოს ექთნის კვალიფიკაციის მქონე პირი (შესაბამისად, კონკურსში კანდიდატისადმი გათვალისწინებული იქნება საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის დაკმაყოფილებასაც ექთანიც შეძლებს).

ამასთან, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სკოლის სამედიცინო პერსონალის შერჩევა უნდა განხორციელდეს სკოლის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ, რომელიც დაკომპლექტებული იქნება შემდეგი წევრებით: ა) სკოლის დირექციის წარმომადგენლები; ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს იმ ტერიტორიული ორგანოს - საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სკოლა; გ) საკითხის გადასაწყვეტად, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულობის აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე; დ) იმ დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები, რომელი დარგის სპეციალობების მქონე პირებსაც აქვთ სკოლის ექიმად/სკოლის ექთნად მუშაობის უფლება.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო / სკოლამდელი და
ზოგადი განათლების დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კალანდაძე ლალი